განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საპენსიო რეფორმა ამოქმედდა 2019 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული წლების განმავლობაში გამოვლინდა, რომ საპენსიო რეფორმის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საპენსიო სააგენტოს მმართველობითი სტრუქტურა წარმოადგენს, რამდენადაც არსებულ სტრუქტურაში არ ხორციელდება საპენსიო სქემის ერთიანი მართვა და მისი ჰოლისტიკური ზედამხედველობა. დაგროვებითი მმართველობითი სისტემის ეფექტური, სწორი და სათანადო მმართველობითი სტრუქტურის არსებობა მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ემსახურება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:
კანონის მიღების აუცილებლობა განპირობებულია საპენსიო სააგენტოს მმართველობითი სისტემის დახვეწის საჭიროებით, რადგან ერთიანი მართვის და ჰოლისტიკური ზედამხედველობის არ არსებობა წარმოშობს ისეთ სირთულეებს, როგორებიცაა - მმართველობითი სისტემის სუბიექტებზე ფუნქციების, პასუხისმგებლობებისა და მანდატის ადეკვატურად გადანაწილების სირთულე, მმართველობით სისტემაში გარკვეული ფუნქციების დუბლირების შემთხვევები, საინვესტიციო და ადმინისტრაციული საქმიანობების არათანაბარი რეგულირება/ზედამხედველობა, სქემის საერთო რისკის შეფასების ხარვეზი და სხვა. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ემსახურება ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც უზრუნველყოფს ადეკვატური და ეფექტური ზედამხედველობის განხორციელებას და რაც მთავარია, შესაძლებლობას მისცემს საპენსიო სააგენტოს უფრო ეფექტურად განახორციელოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვა/ადმინისტრირება და სათანადოდ იზრუნოს მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებზე

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:
„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული ახალი მმართველობითი სტრუქტურა უფრო ეფექტურს გახდის დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვას და ზედამხედველობას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:
კანონპროექტი ითვალისწინებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში - კანონი) შემდეგ ძირითად ცვლილებებს:
კანონპროექტით განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ემსახურება საპენსიო სააგენტოს მმართველობითი სისტემის ცვლილებას, რის შედეგადაც საპენსიო სააგენტოში

ორი არათანაბარი მმართველი რგოლის/საბჭოს (საინვესტიციო და სამეთვალყურეო საბჭოები) ნაცვლად გაჩნდება ერთი მმართველობითი ორგანო - „მმართველობითი საბჭო“, რომელიც განახორციელებს დაგროვებითი საპენსიო სქემის ერთიან მართვას და შეასრულებს როგორც საინვესტიციო, ისე ადმინისტრაციულ/საოპერაციო და სხვა ფუნქციებს.

კანონპროექტი ითვალისწინებს საპენსიო სააგენტოს სახელის ცვლილებას და ის განისაზღვრება, როგორც - „საპენსიო ფონდი“, აღნიშნული სახელწოდება უფრო ზუსტად ასახავს თუ რას არეგულირებს კანონი და რას ემსახურება აღნიშნული კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობა, ასევე აღნიშნული სახელწოდება შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტის მე-2 მუხლს დაემატა ზ[1] პუნქტი, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო ფონდის დეფინიციას. ამასთან, სახელწოდების ცვლილების შედეგად, დაგროვებითი პენსიის შესახებ საქართველოს კანონის სრულ ტექსტში „საპენსიო სააგენტო“ ჩანაცვლდა „საპენსიო ფონდის“ დეფინიციით და შესაბამისაც უმეტესი მუხლების/პუნქტების ცვლილება ითვალისწინებს არა შინაარსობრივ, არამედ ტექნიკური ხასიათის ცვლილებას.

კანონპროექტის III თავი შეიცვალა სრულად, რადგან სწორედ ის ასახავს მმართველობით სტრუქტურას. ცვლილება პირველ რიგში შეეხო III თავის სათაურს და განისაზღვრა, როგორც „საპენსიო ფონდი“. აღნიშნული თავის ფარგლებში გადაინომრა მუხლები და განისაზღვრა მათი ახლებური თანმიმდევრობა. სწორედ კანონპროექტის აღნიშნული თავი ასახავს შემდეგ შემდეგ ძირითად ცვლილებებს:

- კანონპროექტის მე-4 მუხლი განსაზღვრავს საპენსიო ფონდის ზოგად დებულებებს, რომლებიც შინაარსობრივ ცვლილებებს არ განიცდის, რადგან მისი სამართლებრივი ფორმა უცვლელია (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ასევე მასზე არ ვრცელდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული შეზღუდვები და სახელმწიფო არ მონაწილეობს საპენსიო ფონდის ყოველდღიურ საქმიანობაში.
- კანონპროექტით კანონის მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებად განისაზღვრა - „დაგროვებითი საპენსიო სქემის ადმინისტრირება“, „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევა“ და „საპენსიო ფონდის უფლებები და მოვალეობები“. აღნიშნულ მუხლებში შინაარსობრივი ცვლილებები არ განხორციელდა (ასახავს იმ შინაარსს რაც არსებული რედაქციის მე-7, მე-7[1] და მე-8 მუხლებით განისაზღვრება) და მხოლოდ ტექნიკურად განისაზღვრა „საპენსიო ფონდი“ „საპენსიო სააგენტოს“ ნაცვლად.
- კანონპროექტით კანონის მე-8 მუხლით განსაზღვრება, რომ გარდა კანონის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციებისა, მმართველობითი საბჭოს სტრუქტურაში ინტეგრირებული უნდა იყოს სპეციალური ფუნქციები. სპეციალური ფუნქციებია საინვესტიციო ფუნქცია, რისკის ფუნქცია და შიდა აუდიტის ფუნქცია. ამგვარი მოწყობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ახასიათებს სწორ და ეფექტურ კორპორატიულ მართვას, მით უფრო ისეთ მნიშვნელოვან ინსტიტუტებში, როგორიცაა საპენსიო ფონდი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ფუნქციები უნდა შესრულდეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

  საინვესტიციო ფუნქცია გულისხმობს საპენსიო აქტივების ინვესტირებას საინვესტიციო ჰორიზონტში მათი რეალური ამონაგების (ინფლაციის გათვალისწინებით) მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით. კეთილსაიმედო

ინვესტირების პრინციპებს ითვალისწინებს როგორც არსებული კანონი, ისე კანონპროექტი.

კანონპროექტით განისაზღვრა რისკის მართვის ფუნქცია და დადგინდა, რომ ის ინტეგრირებული უნდა იყოს ეფექტურად საპენსიო ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ასევე განისაზღვრა, რომ საპენსიო ფონდი ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიებს, პროცესებსა და ანგარიშგების პროცედურებს, რომლებიც საჭიროა რისკების ინდივიდუალურ და აგრეგირებულ დონეებზე დადგენისთვის, შეფასებისთვის, მონიტორინგისთვის, მართვისა და რეგულარული ანგარიშგებისთვის. კანონპროექტით ასევე დადგინდა სულ მცირე რას უნდა მოიცავდეს რისკის მართვა - აქტივებისა და ვალდებულების მართვას, ინვესტიციებს, ლიკვიდურობის და კონცენტრაციის რისკების მართვის, საოპერაციო რისკების მართვას და რისკების შემცირების მეთოდებს.

კანონპროექტით განისაზღვრა, რომ შიდა აუდიტის ფუნქცია ახორციელებს საპენსიო ფონდის შიდა კონტროლის სისტემისა და მართვის სისტემის სხვა ელემენტების სათანადოობისა და ეფექტიანობის შეფასებას, მათ შორის, აუთსორსინგული საქმიანობის შემთხვევაში. ასევე დაკონკრეტდა, რომ შიდა აუდიტის ფუნქცია უნდა იყოს საოპერაციო საქმიანობისგან დამოუკიდებელი და ობიექტური.

კანონპროექტით ასევე განისაზღვრა სპეციალური ფუნქციის განმახორციელებელი პირების ვალდებულება, რომ ასეთმა პირებმა ნებისმიერი არსებითი ინფორმაცია და რეკომენდაციები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა აცნობონ მმართველობით საბჭოს, რომელიც განსაზღვრავს სათანადო ზომების მიღების აუცილებლობას. თუ მმართველობითი საბჭო არ იღებს შესაბამის და დროულ ზომებს მაშინ, როდესაც სპეციალური ფუნქციის შემსრულებელი პირის მიერ გამოვლენილია არსებითი რისკები, რომლებიც საფრთხეს უქმნის დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების ინტერესებს, ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელოვანი და არსებითი დარღვევა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური ფუნქციების განხორციელებასათან დაკავშირებული პირი უფლებამოსილია აღნიშნულის შესახებ აცნობოს ეროვნულ ბანკს. ამ შემთხვევაში სპეციალური ფუნქციის შემსრულებელი პირი სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით.

- კანონპროექტით კანონის მე-9 მუხლი განსაზღვრავს მმართველობითი საბჭოს სტრუქტურას, მოწყობას და მათ უფლება-მოვალეობებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონპროექტით გათვალისწინებული მმართველობითი სისტემის შესაბამისად, საპენსიო ფონდს ჰყავს ერთი უმაღლესი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის მართვაზე. მმართველობითი საბჭო შედგება არანაკლებ 9, ხოლო არაუმეტეს 15 წევრისგან, რომელთაგან 9 წევრის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა 1 წევრს ნიშნავს თანამდებობრივად, ხოლო 9 წევრზე მეტის შემთხვევაში უფლებამოსილია თანამდებობრივად დანიშნოს 2 წევრი, დანარჩენი წევრები არიან პროფესიონალი, შერჩევის შედეგად დანიშნული წევრები. მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრი ინიშნება 5 წლის ვადით და მათ შეარჩევს შესარჩევი კომისია, რომელიც შერჩეულ კანდიდატებს დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. პროფესიონალი წევრები ინიშნებიან შესაბამისი პოზიციებისათვის, რათა მმართველობითი საბჭო დაკომპლექტდეს ყველა საჭირო და აუცილებელი განათლების/პროფესიული გამოცდილების მქონე წევრებით.

შესაბამისი პოზიციისათვის კანდიდატთა შერჩევის წესი და პროცედურა, ასევე მათი განათლებისა და სამუშაო გამოცდილების კრიტერიუმები, ასევე შესაფერისობის სხვა მოთხოვნები, მათ შორის მმართველობითი საბჭოს თანამდებობრივი წევრების დანიშვნის წესი, დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საპენსიო ფონდის საჭიროებებს.
კანონპროექტი განსაზღვრავს მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრების ზოგად მოთხოვნებს, კერძოდ მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს კეთილსინდისიერი პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პოზიციისათვის საჭირო განათლება და სამუშაო გამოცდილება, მათ შორის მმართველ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის პროფესიული გამოცდილება, ასევე მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრი არ შეიძლება იყოს ნასამართლევი პირი ან პირი რომელმაც გამოიწვია ორგანიზაციის გაკოტრება.
რაც შეეხება მმართველობითი საბჭოს წევრების გათავისუფლებას, კანონპროექტის თანახმად, მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას.
კანონპროექტის შესაბამისად მმართველობითი საბჭო თავის წევრთაგან 3 წლის ვადით ირჩევს მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარეს/მოადგილეს. მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარედ ან/და მის მოადგილედ არ შეიძლება არჩეულ იქნას მმართველობითი საბჭოს თანამდებობრივი წევრი, ასევე მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევისას დაუშვებელია მმართველობითი საბჭოს წევრის მიერ ხმის საკუთარი თავისთვის მიცემა.
კანონპროექტით კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი განსაზღვრავს მმართველობითი საბჭოს ძირითად ფუნქციებს, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მმართველობითი საბჭო - შეიმუშავებს და ამტკიცებს საპენსიო ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და დებულებას; ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის დირექტორატსა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობებს და აძლევს მათ მითითებებს; შესარჩევი კონკურსის საშუალებით არჩევს, თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს საპენსიო ფონდის დირექტორატის წევრებს; ქმნის საპენსიო ფონდის კომიტეტებს; განიხილავს და ამტკიცებს სპეციალურ ფუნქციებთან დაკავშირებულ პოლიტიკის დოკუმენტებს; განიხილავს და ამტკიცებს გენერალური დირექტორის მიერ წარდგენილ საპენსიო ფონდის წლიურ ბიუჯეტსა და საშტატო ნუსხას; ადგენს ამ კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიის და სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევის წესსა და კრიტერიუმებს, აქტივების მმართველი კომპანიებისთვის სამართავად გადასაცემი საპენსიო აქტივების მოცულობისა და გადაცემის ვადების განსაზღვრის კრიტერიუმებსა და წესს (პროცედურებს); უზრუნველყოფს საპენსიო სააგენტოს დამოუკიდებელი აუდიტორული შემოწმების ჩატარებას; შეიმუშავებს საპენსიო ფონდის ინტერესთა კონფლიქტის მართვის ჩარჩოს, რომელიც სულ მცირე უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამჟღავნებისა და აცილების მექანიზმებს/წესებს და სხვა. ასევე, მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია რეკომენდაციების მისაღებად შექმნას და მოიწვიოს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებისაგან. საკონსულტაციო საბჭოს წევრები არ წარმოადგენენ მმართველობითი საბჭოს ნაწილს და მათი მოწვევისა და

დაკომპლექტების წესები განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით. მმართველობითი საბჭოს სხვა ფუნქციები განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით. დებულებით განისაზღვრება ასევე პოლიტიკის დოკუმენტების გადასინჯვისა და გამოქვეყნების წესები.

კანონპროექტი ასევე ადგენს, რომ მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის საქმიანობა ანაზღაურებადია და ფინანსდება საპენსიო ფონდის ბიუჯეტიდან, ასევე დირექტორატის წევრები არ შეიძლება შეადგენდნენ მმართველობითი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს. კანონპროექტით ასევე დგინდება, მმართველობითი საბჭოს წევრებისათვის აფილირების აკრძალვა, ნებისმიერი საჩუქრის, კრედიტის (გარდა ჩვეულებრივი კომერციული პირობებით აღებული კრედიტისა) ან ანაზღაურების მიღების აკრძალვა და სამუშაოს დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში პროფესიული მომსახურების გაწევის შეზღუდვები. საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის, ეროვნული ბანკის და საქართველოს პარლამენტის წინაშე.

- კანონპროექტით კანონის მე-10 მუხლი განსაზღვრავს მმართველობითი საბჭოს სხდომას და მისი ჩატარების პროცედურებს. დგინდება, რომ მმართვლობითი საბჭოს სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ. მმართველობითი საბჭოს სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით. რაც შეეხება ხმის მიცემას, მმართველობითი საბჭოს თითოეულ წევრს აქვს 1 ხმის უფლება და მას არ შეუძლია საკუთარი ხმის უფლების სხვა პირისთვის გადაცემა. მმართველობითი საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მის სხდომას ესწრება მმართველობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მმართველობითი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მმართველობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის ხმა. მმართველობითი საბჭოს სხდომის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა წესები განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით.
- კანონპროექტით კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს შესარჩევ კომისიას, რომლის თანახმადაც, აღნიშნული კომისია შერჩევის გამჭვირვალე პროცედურების გამოყენებით სრული შემადგენლობის უმრავლესობით შეარჩევს მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრთა კანდიდატურებს და დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს. კანონპროექტით დგინდება, რომ შესარჩევი კომისიის საქმიანობა, მმართველობითი საბჭოს პროფესიონალ წევრთა კანდიდატურების შერჩევის წესები და პროცედურები განისაზღვრება კანონისა და საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. შესარჩევი კომისიის წევრთა შემადგენლობა და მის გადაწყვეტილებაუნარიანობა კანონპროექტით შენარჩუნდა უცვლელად. დამატებით განისაზღვრა, რომ შესარჩევი კომისიის სამდივნოს ფუნქციას ასრულებს საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის აპარატი.
- კანონპროექტით კანონის მე-12 მუხლი განსაზღვრავს მმართველობითი საბჭოს კომიტეტებს, რომლებსაც მმართველობითი საბჭო ქმნის საკუთარი პროფესიონალი წევრებისაგან სპეციალური ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისათვის და რომლებიც ანგარიშვალდებულია მმართველობითი საბჭოს წინაშე. მმართველობითი

საბჭო ვალდებულია შექმნას შემდეგი კომიტეტები: საინვესტიციო კომიტეტი, რისკის კომიტეტი და შიდა აუდიტის კომიტეტი. კომიტეტის წევრი ასევე შესაძლოა იყოს დირექტორატის წევრი, საპენსიო ფონდის თანამშრომელი და მოწვეული წევრები. კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ კომიტეტი თავისი წევრებისაგან ირჩევს კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელიც ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას, ამასთან კომიტეტი გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ორი მესამედი და კომიტეტზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტში ხმის უფლება გააჩნია მმართველობითი საბჭოს წევრსა და დირექტორატის წევრს. კომიტეტის ფორმირების და ფუნქციონირების წესები და პროცედურები განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით.

საინვესტიციო კომიტეტი მმართველობითი საბჭოსაგან მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, შეიმუშავებს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს, და ასევე შეარჩევს ამ კანონის 28-ე მუხლით განსაზღვრულ აქტივების მმართველ კომპანიას და სპეციალიზებულ დეპოზიტარს მმართველობითი საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

რისკის კომიტეტი მმართველობითი საბჭოსაგან მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს რისკის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის შეიმუშავებს რისკის მართვის ჩარჩოს და დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს.

აუდიტის კომიტეტი მმართველობითი საბჭოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს და ზედამხედველობს საპენსიო ფონდის ფინანსურ ანგარიშგებასთან, რისკების მართვასთან, შიდა კონტროლის სისტემასთან, შიდა აუდიტის საქმიანობასა და აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კომიტეტი უფლებამოსილია მისი საქმიანობა ან საქმიანობის ნაწილი დაადელეგიროს დირექტორატის შესაბამის წევრზე, გარდა სპეციალური ფუნქციების პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებისა. ამასთან, თითოეულ კომიტეტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დებულება, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები.

კანონპროექტის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია ზემოაღნიშნული კომიტეტების გარდა შექმნას სხვა კომიტეტები, მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

- კანონპროექტით კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს საპენსიო ფონდის დირექტორატს, რომელიც წარმოადგენს საპენსიო ფონდის აღმასრულებელ ორგანოს და რომელიც შედგება ფონდის გენერალური დირექტორის, მთავარი საინვესტიციო ოფიცრის, მთავარი რისკის ოფიცრისა და შიდა აუდიტის უფროსისაგან. დირექტორატის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მმართველობითი საბჭო, ასევე ეროვნული ბანკი უფლებამოსილია გაათავისუფლოს დირექტორატის წევრი მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში. ამასთან, მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს სხვა მიმართულების აღმასრულებელი ხელმძღვანელი

(ხელმძღვანელები).დირექტორატის წევრის მოვალეობის შემსრულებლის/მოადგილის დანიშვნის წესი განისაზღვრება საპენსიო ფონდის დებულებით.
კანონპროექტით დირექტორატის წევრებისათვის განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის დადგენილი ზოგადი მოთხოვნების იდენტური მოთხოვნები.
საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი - წარმოადგენს საპენსიო ფონდს მესამე პირებთან ურთიერთობაში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საპენსიო ფონდის თანამშრომლებს, აღასრულებს მმართველობითი საბჭოს გადაწყვეტილებებს, გამოსცემს სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს/ინსტრუქციებს, შეიმუშავებს საპენსიო ფონდის ბიუჯეტს და საშტატო ნუსხას და დასამტკიცებლად წარუდგენს მმართველობით საბჭოს, ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის საქმიანობას რის ფარგლებშიც იღებს და აღასრულებს შესაბამისის გადაწყვეტილებებს, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დამრღვევი პირისთვის და ძალაში შესული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გასცემს სააღსრულებო ფურცელს მიღებული გადაწყვეტილების იძულებით აღსასრულებლად, ყოველი წლის შედეგების მიხედვით საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საპენსიო ფონდის საქმიანობის ანგარიშს, ასრულებს საპენსიო ფონდის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
საპენსიო ფონდის მთავარი საინვესტიციო ოფიცერი ხელმძღვანელობს საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებას. მთავარი საინვესტიციო ოფიცერი უფლებამოსილია მიიღოს, გააფორმოს და აღასრულოს საინვესტიციო გადაწყვეტილებები, მათ შორის საპენსიო ფონდის დებულების შესაბამისად მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოადგინოს საპენსიო ფონდი მესამე პირებთან ურთიერთობაში და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულებები.
მთავარი რისკის ოფიცერი ხელმძღვანელობს საპენსიო ფონდის რისკის მართვას და ახორციელებს მასთან დაკავშირებულ ფუნქციებს. რისკის მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად მთავარი რისკის ოფიცერი უფლებამოსილია ხელი მიუწვდებოდეს საპენსიო ფონდში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. ასევე მთავარი რისკის ოფიცერი უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიისგან, სპეციალიზებული დეპოზიტარისა და საპენსიო ფონდისთვის სხვა მომსახურების გამწევი პირისგან მიიღოს ინფორმაცია საპენსიო ფონდის სახელით დადებული გარიგებების შესახებ.
შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი აუდიტის კომიტეტთან ერთად ხელმძღვანელობს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობას, რომელიც უნდა ხორციელდებოდეს ყველა სხვა საქმიანობისაგან დამოუკიდებლად. შიდა აუდიტის სამსახურისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ჩანაწერი და დოკუმენტი, მათ შორის საპენსიო ფონდის თანამშრომლების, დირექტორატის წევრებისა და მმართველობითი საბჭოს წევრების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.
კანონპროექტი განსაზღვრავს, რომ თუ საპენსიო ფონდის დირექტორატის წევრის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის დროისთვის არ იქნება დანიშნული საპენსიო ფონდის ახალი დირექტორატის წევრი, საპენსიო ფონდის მოქმედი დირექტორატის წევრი აგრძელებს უფლებამოსილების განხორციელებას ახალი დირექტორატის წევრის დანიშვნამდე. ამასთან, კანონპროექტი ადგენს, რომ დირექტორატის წევრებზე ვრცელდება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით

გათვალისწინებული ვალდებულებები და საპენსიო ფონდის დირექტორატის წევრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამასთან, დირექტორატის წევრზე ვრცელდება აფილირებისა და გათავისუფლებიდან 6 თვის განმავლობაში პროფესიული საქმიანობის შეზღუდვები.

- კანონპროექტით კანონის მე-14 მუხლით განისაზღვრება ნდობითი ვალდებულების მქონე პირები, რომელთა ჩამონათვალშიც ახალი მმართველობითი სისტემის შესაბამისად განისაზღვრა მმართველობითი საბჭოს წევრები და დირექტორატის წევრები.
- კანონპროექტით კანონის მე-15 მუხლით განისაზღვრება ანაზღაურების პოლიტიკა, რაც გულისხმობს, რომ საპენსიო ფონდი ვალდებულია გააჩნდეს საკუთარი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც ეფექტიანად მართავენ დაგროვებით საპენსიო სქემას, ასრულებენ სპეციალურ ფუნქციებს და რომელთა საქმიანობები არსებით ზეგავლენას ახდენს საპენსიო სქემის რისკის პროფილზე. აღნიშნული ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს ყოველწლიურად. კანონპროექტი ადგენს, რომ ანაზღაურების პოლიტიკის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი საკითხები - დაგროვებითი საპენსიო სქემის რისკის პროფილი, მიზნები და საპენსიო სქემების მონაწილეების გრძელვადიანი ინტერესები, ფინანსური სტაბილურობა და ხელს უნდა უწყობდეს საპენსიო ფონდის რაციონალურ/გონივრულ და ეფექტიან მართვას; უნდა შეესაბამებოდეს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეების გრძელვადიან საუკეთესო ინტერესებს და უნდა მოიცავდეს ზომებს, რომელთა მიზანია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება. ამასთან, საპენსიო ფონდი ვალდებულია განსაზღვროს ანაზღაურების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და სულ მცირე სამ წელიწადში ერთხელ განაახლონ. ანაზღაურების პოლიტიკის მართვა და კონტროლი უნდა განხორციელდეს მკაფიოდ, გამჭვირვალედ და ეფექტიანად.
- კანონპროექტით კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს აუთსორსინგული მომსახურების პრინციპებს. აუთსორსინგი გულისხმობს რომ საპენსიო ფონდის ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, სპეციალური ფუნქციები, მთლიანად ან ნაწილობრივ შესაძლებელია გადაეცეს შესაბამის მომსახურების მიმწოდებლებს, რომლებიც ამ საქმიანობების განხორციელებისას/ფუნქციების შესრულებისას იმოქმედებენ საპენსიო ფონდის სახელით, ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ვალდებულების შესრულებისთვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება საპენსიო ფონდს. კანონპროექტი ადგენს, რომ სპეციალური ფუნქციების ან ნებისმიერი სხვა საქმიანობების აუთსორსინგზე გადაცემა არ უნდა იწვევდეს: საპენსიო ფონდის მართვის სისტემის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუარესებას, საოპერაციო რისკების გაუმართლებელ გაზრდას, საპენსიო ფონდის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო პროცესის განხორციელების შეფერხებას და საპენსიო სქემის მონაწილეების მომსახურების მიწოდების გაუარესებას. საქმიანობებისა და სპეციალური ფუნქციების გადაცემა უნდა განხორციელდეს საპენსიო ფონდს და აუთსორსინგული მომსახურების მიმწოდებლებს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. კანონპროექტი ადგენს, რომ საპენსიო ფონდი ვალდებულია ნებისმიერი საქმიანობის

აუთსორსინგული მომსახურების შესახებ დროულად აცნობოს ეროვნულ ბანკს, ხოლო სპეციალური ფუნქციების აუთსორსინგზე გადაცემის შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე ეროვნულ ბანკს უნდა ეცნობოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე. ეროვნულ ბანკს აგრეთვე უნდა ეცნობოს ნებისმიერი შემდგომი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც შეეხება აუთსორსინგულ მომსახურებას. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საპენსიო ფონდს და აუთსორსინგული მომსახურების მომწოდებელს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია გადაცემულ სპეციალურ ფუნქციებთან ან ნებისმიერ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით

- კანონპროექტით კანონის მე-17 მუხლი ადგენს საპენსიო ფონდის დაფინანსების წყაროებს და საპენსიო ფონდის წლიური ბიუჯეტს, რომელიც ახალი მმართველობითი სისტემიდან გამომდინარე მხოლოდ ტექნიკურად შეიცვალა და განისაზღვრა, რომ საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორი არაუგვიანეს ყოველი საბიუჯეტო წლის პირველი დეკემბრისა მმართველობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს საპენსიო ფონდის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტს.
- კანონპროექტით კანონის მე-18 მუხლი ადგენს საპენსიო ფონდის ანგარიშგებას და ანგარიშვალდებულებას, რომელშიც შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები და ნაცვლად „საპენსიო სააგენტოსი“ განისაზღვრა საპენსიო ფონდი, ხოლო პარლამენტთან ანგარიშების წარდგენის ვალდებულება დაეკისრა საპენსიო ფონდის გენერალურ დირექტორს.
- კანონპროექტით კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს ზედამხედველობის საკითხებს. ახალ მმართველობით სტრუქტურასთან ერთად, კანონპროექტით დადგინდა რომ საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს საპენსიო ფონდის და მისი ყველა საქმიანობის ზედამხედველს. კანონპროექტის თანახმად, ეროვნული ბანკის მიერ რეგულირება და ზედამხედველობა ხორციელდება წინასწარი განჭვრეტის და რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე. კანონპროექტის შესაბამისად ეროვნული ბანკის რეგულირება და ზედამხედველობა მოიცავს სულ მცირე შემდეგს: საპენსიო ფონდის მიერ მომზადებული საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის ამ კანონითა და ამ კანონის შესაბამისად ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას და შეთანხმებას; აქტივების განთავსების სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგიის; საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და საპენსიო ფონდის მიერ ამ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული აქტივების მმართველი კომპანიის შერჩევის პროცედურის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას; საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტით დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის დადგენას; საპენსიო ფონდის დირექტორატის შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენას; საპენსიო ფონდის საოპერაციო გეგმის ძირითადი მონაცემების განსაზღვრას; კანონის 27-ე მუხლით გათვალისწინებული საინვესტიციო წესების დადგენას; საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის ინფორმაციის/დოკუმენტების შედგენისა და მიწოდების მოთხოვნების დადგენას; საპენსიო აქტივების გადატანის წესების დადგენას; საპენსიო სქემის მონაწილეთა წმინდა აქტივების ღირებულების გამოთვლის მეთოდოლოგიის დადგენას; მონაწილეთა უფლებების დაცვის მოთხოვნების დადგენას; ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშებზე საპენსიო შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის მოთხოვნების დადგენას; პენსიის პროგრამული გატანის მოთხოვნების დადგენას; პრეტენზიების

განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალურ მოთხოვნების დადგენას და რისკების მართვის ჩარჩოს შეთანხმებას და რისკის მართვასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი მოთხოვნის დადგენას.

კანონპროექტით ასევე დადგინდა ეროვნული ბანკის უფლებამოსილებები, მათ შორის - ადგილზე შეამოწმოს საპენსიო ფონდი, სპეციალიზებული დეპოზიტარი და აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად; დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში საპენსიო ფონდს ან/და აქტივების მმართველ კომპანიას მისცეს სავალდებულო მითითება ან/და საჯარო რეკომენდაცია არსებული ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა; მონაწილეთა ინტერესების დაცვისა და საპენსიო ფონდის საინვესტიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, საპენსიო ფონდთან დადებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, თავის მიერ დადგენილი წესით სრულად ან ნაწილობრივ შეასრულოს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები; შეაფასოს ხარისხობრივი მახასიათებლები საპენსიო ფონდის მართვის სისტემასთან/სტრუქტურასთან დაკავშირებით; შეაფასოს საპენსიო ფონდის შესაძლებლობები რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის კუთხით; შეაფასოს საპენსიო ფონდის დებულება და საჭიროების შემთხვევაში მმართველობით საბჭოს დაუდგინოს საპენსიო ფონდის დებულებასთან მიმართებით დამატებითი მოთხოვნები; მნიშვნელოვანი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში თანამდებობიდან გაათავისუფლოს დირექტორატის წევრი; განუსაზღვროს საპენსიო ფონდს აუცილებელი პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/დამტკიცება და სხვა. ამასთან კანონპროექტით დგინდება ეროვნული ბანკის მიერ საპენსიო ფონდის სპეციალურო ადმინისტრირების დროებითი რეჟიმი. კანონპროექტით ასევე განისაზღვრება ეროვნული ბანკის უფლებამოსილება დაადგინოს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო და დაგროვებითი საპენსიო სქემის რეგულირების დამატებითი წესები.

- III თავით განსაზღვრულმა მმართველობითი სისტემის ცვლილებებმა გამოიწვია ტექნიკური ხასიათის ცვლილებები დეფინიციებში, მათ შორის გარკვეული დეფინიციების წაშლა, ასევე წაიშალა აღნიშნული თავის მე-20 მუხლი.

მმართველობითი სისტემისა და „საპენსიო სააგენტოს“ სახელის ცვლილებამ ტექნიკური ხასიათის ჩასწორებები გამოიწვია სხვა მუხლებსა და მუხლების სათაურებში, მათ შორის ცვლილება შევიდა 26-ე მუხლში და სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევა ნაცვლად საინვესტიციო საბჭოსი დაეკისრა საპენსიო ფონდის საინვესტიციო კომიტეტს, რომელიც სპეციალიზებულ დეპოზიტარს კონკურსის წესით შეარჩევს. კონკურსის ჩატარების პირობებსა და პროცედურებს, მათ შორის, სპეციალიზებული დეპოზიტარის წინასწარი შერჩევის მოთხოვნებს, განსაზღვრავს და ამტკიცებს მმართველობითი საბჭო. ასევე ამავე მუხლში ახალი მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისად ეროვნულ ბანკთან სპეციალიზებული დეპოზიტარის ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღება დაექვემდებარა მმართველობით საბჭოზე.

კანონპროექტით კანონის 27-ე მუხლში განხორციელდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ამასთან, საპენსიო აქტივების დივერსიფიკაციის მიზნით 27-ე მუხლის მე-12 პუნქტს „ა.ბ“

ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა „ა.გ” ქვეპუნქტი, რომლითაც მე-16 და მე-17 პუნქტებით გათვალისწინებული სხვა ტიპის აქტივების (გარდა ამ მუხლის 13[1] პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ფონდის ან ქვეფონდის ერთეულებისა) ლიმიტი განისაზღვრა 15 პროცენტამდე, ამავე პუნქტის ბ.გ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიმიტი გაიზარდა 20%-მდე, ხოლო ამავე პუნქტის გ.გ. ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიმიტი გაიზარდა 25%-მდე.

კანონპროექტით 28-ე მუხლით განისაზღვრა, რომ მმართველობითი საბჭო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით და მის მიერ დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურების დაცვით მიიღოს გადაწყვეტილება საპენსიო აქტივების ამ მუხლით განსაზღვრული აქტივების მმართველი კომპანიისთვის სამართავად გადაცემის შესახებ. ამ შემთხვევაში საპენსიო ფონდი აქტივების მმართველ კომპანიასთან დებს შესაბამის ხელშეკრულებას. აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია მართოს საპენსიო აქტივები საპენსიო აქტივების მართვის ხელშეკრულებისა და საპენსიო ფონდის მიერ დამტკიცებული დეტალური საინვესტიციო სახელმძღვანელოს შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე.

კანონპროექტით კანონის 29-ე მუხლი ამოღებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილი თუ გამოიყენებს სხვა აქტივების მმართველის არჩევის უფლებამოსილებას, იმდენად რამდენადაც საპენსიო აქტივების მართვა გრძელვადიანი პროცესია და მისი ამონაგების საწყის ეტაპზე შეფასება რთულია. ამასთან, საპენსიო აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მათი ერთი მმართველობითი ორგანოს ფარგლებში მართვა. მითუმეტეს, რომ კანონპრექტი ითვალისწინებს 28-ე მუხლის თანახმად საჭიროების შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანიების მიერ დაგროვებითი საპენსიო აქტივების მართვას.

კანონპროექტით კანონს 37-ე მუხლის შემდეგ ემატება 37[1] მუხლი, რომელიც ადგენს პრეტენზიების გადაწყვეტის მექანიზმს. აღნიშნულის თანახმად, საპენსიო ფონდის დებულებით უნდა განისაზღვროს საპენსიო ფონდის მონაწილეთა პრეტენზიების განხილვისა და გადაწყვეტის მექანიზმი. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები საპენსიო ფონდის პრეტენზიების განხილვის და გადაწყვეტის მექანიზმებთან დაკავშირებით. კანონპროექტის შესაბამისად, მონაწილის პრეტენზიის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს, ხოლო თუ მონაწილის მიერ საპენსიო ფონდისათვის წარდგენილი პრეტენზია არ დაკმაყოფილდა, მონაწილეს უფლება აქვს, მიმართოს ეროვნულ ბანკს.

კანონპროექტით 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად საპენსიო ფონდის მართვის საკომისიოს ოდენობა დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ, ამასთან აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს საპენსიო აქტივების 0,75 პროცენტს. აღნიშნული მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც საპენსიო აქტივების ინვესტირების დივერსიფიკაცია საჭიროებს მეტ მოქნილობას საკომისიოებთან მიმართებით, საკომისიო კი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებიდან გამომდინარე დადგინდება საქართველოს მთავრობის მიერ.

კანონპროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებს გარდამავალ დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ზემოაღნიშნული ცვლილებების ეფექტურ და დროულ განხორციელებას. გარდამავალი პერიოდი განხორციელდება შემდეგნაირად: კანონპროექტის ამოქმედებამდე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული და დანიშნული საპენსიო სააგენტოს დირექტორი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე აგრძელებს ამ კანონის შესაბამისად საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობების შესრულებას და ამ კანონის ამოქმედებისას მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე წარმოადგენს საპენსიო ფონდის გენერალურ დირექტორს. ამასთან, კანონპროექტის ამოქმედებამდე საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული საინვესტიციო საბჭოს წევრი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე აგრძელებს ამ კანონის შესაბამისად საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს წევრის მოვალეობების შესრულებას, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საინვესტიციო საბჭოს წევრს ამ კანონის ამოქმედებისას ამოწურული აქვს ვადა და იგი აგრძელებს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილების შესრულებას, მას ეს უფლებამოსილება უწყდება მმართველობითი საბჭოს წევრების დანიშვნისთანავე. ასევე, 2024 წლის პირველ დეკემბრამდე ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოცემა. ასევე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 აგვისტოს დადგენილება №421. ასევე, 2024 წლის პირველ დეკემბრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტის გამოცემა.

გარდამავალი დებულებები ასევე განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის უფლებამოსილებას დაადგინოს კანონპროექტით განსაზღვრული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტისაგან განსხვავებული მმართველობითი საბჭოს პროფესიონალი წევრის უფლებამოსილების ვადა.

გარდამავალი დებულებების შესაბამისად, 2025 წლის პირველ ივლისამდე საპენსიო ფონდმა უნდა უზრუნველყოს სამართლებრივი აქტების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ხოლო 2025 წლის პირველ მარტამდე შესარჩევმა კომისიამ უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული მმართველობითი საბჭოს წევრების არჩევა, ხოლო პრემიერ-მინისტრმა არჩეული წევრების დანიშვნა.

კანონპროექტის მე-3 მუხლი განსაზღვრავს კანონის ამოქმედების ვადებს.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-2 მუხლის მე-4 - მე-6 და მე-10 პუნქტებისა, ამოქმედდება 2024 წლის 1 დეკემბერიდან; კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, მე-2 მუხლის მე-4 - მე-5 და მე-10 პუნქტები ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე; კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივლისიდან. კანონის ამოქმედების განსხვავებული ვადები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ შესაბამის ნორმებთან მიმართებით ზემოაღნიშნული თარიღების დადგომამდე, მიღებულ უნდა იქნეს სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტები. ამასთან, საპენსიო სააგენტომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სათანადო ჩამოყალიბება/დაკომპლექტება და კანონპროექტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. შესაბამისად, საპენსიო სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კანონის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების სრულად განხორციელებამდე საჭიროა გარკვეული მატერიალური და ადამიანური რესურსების, საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რაც მოითხოვს გონივრულ ვადას. კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისათვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. საპენსიო სააგენტოს საქმიანობის დაფინანსების წყარო არის საპენსიო აქტივებიდან მომსახურების საფასურის სახით მიღებული თანხები.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის თანახმად საპენსიო ფონდში შეიქმნება ახალი მმართველობითი საბჭო, რომლის წევრთა რაოდენობაც განისაზღვრება მინიმუმ 9, მაქსიმუმ 15 წევრისაგან, რომელთა უმრავლესობის (გარდა 2 მთავრობის მიერ დანიშნული თანამდეოობრივი წევრისა) საქმიანობა ანაზღაურდება და შესაბამისად მათ მოუწევთ საშემოსავლო გადასახადის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ კანონპროექტის შესაბამისად იზრდება საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო ულებამოსილებები, რაც დაკავშირებულია დამატებითი ადამიანური რესურსის საჭიროებასთან, აღნიშნული საჭიროების ფარგლებში დასაქმებულს პირებს ასევე მოუწევთ საშემოსავლო გადასახადის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ზემოაღნიშნული გარემოებები გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

- კანონპროექტი ითვალისწინებს სრულიად ახალი მმართველობითი სისტემის შექმნას, რაც ზეგავლენას მოახდენს საპენსიო სააგენტოს ხარჯვით ნაწილზე. დღეს საინვესტიციო საბჭოს შემადგენლობაში 4 წევრია, კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ კი უნდა შეიქმნას მმართველობთი საბჭო, რომელიც მინიმუმ 9, მაქსიმუმ 15 წევრისაგან შედგება, აღნიშნულ წევრთაგან მხოლოდ თანამდებობრივად დანიშნული მაქსიმუმ 2 წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება, დანარჩენი წევრები კი მიიღებენ ანაზღაურებას. შესაბამისად აღნიშნულ პირთა შრომის ანაზღაურება, მათი აღჭურვა და შესაბამისი გარემოთი უზრუნველყოფა განხორციელდება საპენსიო ფონდის ბიუჯეტიდან. რაც შეეხება ხარჯების ოდენობას, მმართველობითი საბჭოს წევრების ანაზღაურება კერძო მოლაპარაკებების ნაწილია, შესაბამისად გავლენის ჯამური ოდენობა დამოკიდებული იქნება მოლაპარაკებების შედეგებზე, ხოლო შესაბამისი აღჭურვილობით და გარემოთი უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება საპენსიო სააგენტოს არსებული რესურსების შეფასებაზე და ახალი დანიშნული კადრების რაოდენობაზე/მოთხოვნილებებზე. რაც შეეხება დირექტორატს, აღნიშნული ფუნქციები და დირექტორატის წევრები (გენერალური დირექტორი, მთავარი საინვესტიციო ოფიცერი, მთავარი რისკის ოფიცერი და აუდიტის სამსახურის უფროსი), აღნიშნული პირები დღესაც ყავს საპენსიო სააგენტოს და მათი ანაზღაურება ფინანსდება მისი ბიუჯეტიდან შესაბამისად დამატებითი ხარჯების გამოყოფას არ გამოიწვევს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობითი საბჭოს კომიტეტების წევრობა არ ანაზღაურდება, ანაზღაურდება მხოლოდ გარე წევრების მოწვევის შემთხვევაში, რაც ან განხორციელდება მმართველობითი საბჭოს მიერ ან არა, შესაბამისად გავლენის ჯამური ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებაზე, კერძო მოლაპარაკებებსა და აღნიშნული მოლაპარაკებების შედეგებზე. რაც შეეხება, შესარჩევ კომისიას, აღნიშნულის ცვლილება არ მომხდარა და შესაბამისად არ არის დაკავშირებული გაზრდილ ხარჯებთან.
- კანონპროექტით გათვალისწინებული ახალი მმართველობითი სტრუქტურის ჩამოყალიბება გამოიწვევს დღეს არსებული შიდა აუდიტის სამსახურის, საინვესტიციო

სამსახურის, რისკების კონტროლის დეპარტამენტისა და საინვესტიციო რისკის მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზაციას და მათ ახალ მმართველობით სისტემაში ინტეგრირებას. იქედან გამომდინაარე, რომ კანონპროექტი ინარჩუნებს ამ ფუნქციებს, თუმცა იცვლება ამ ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, პირები, რომლებიც ამ სამსახურებში არიან დასაქმებული ჩვეულებრიც გააგრძელებენ შიდა რეორგანიზაციის შემდეგაც თავიანთი ფუნქციების შესრულებას ახალი მმართველობითი სტრუქტურის ფარგლებშიც. ამასთან, გარდამავალი დებულებების თანახმად საპენსიო სააგენტოს დირექტორი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე აგრძელებს ამ კანონის შესაბამისად საპენსიო ფონდის გენერალური დირექტორის მოვალეობების შესრულებას და ამ კანონის ამოქმედებისას მისი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე წარმოადგენს საპენსიო ფონდის გენერალურ დირექტორს. მსგავსი წესი ვრცელდება საინვესტიციო საბჭოს წევრზე, რომელიც უფლებამოსილების ამოწურვამდე გააგრძელებს მმართველობითი საბჭოს წევრობას. აღნიშნული პირებს, ისედაც უნდა განეხორციელებინათ განსაზღვრული ვადით მათი ფუნქციები და კანონპროექტი აღნიშნულს არ ცვლის, შესაბამისად მათზე ფინანსურ გავლენას არ იქონიებს.

- კანონპროექტი ითვალისწინებს ფონდის ნებისმიერი საქმიანობის აუთსორსინგზე გადაცემის შესაძლებლობას, რისთვისაც საჭირო იქნება ეროვნული ბანკის თანხმობა. აუთსორსის მომსახურებით სარგებლობა ერთის მხრივ გაზრდის ფონდის ხარჯებს, თუმცა მეორეს მხრივ დაუზოგავს საპენსიო ფონდს იმ რესურსის გაჩენის ხარჯებს, რის გამოც მისთვის უფრო ხელსაყრელია გარკვეული საქმიანობის აუთსორსით განხორციელება. რაც შეეხება პოტენციურად მომსახურების გამწევ პირებს, მათ გაეზრდებათ შემოსავლები. ამასთან, აღნიშნული ხარჯების და შემოსავლების ჯამური გავლენა დამოკიდებულია თუ რა საქმიანობა გადაეცემა მესამე მხარეს აუთსორსით (საქმიანობის ხასიათი და მოცულობა) და შესაბამის მესამე მხარეებთან კერძო მოლაპარაკებების შედეგებზე.
- კანოპროექტით განისაზღვრება, რომ საპენსიო ფონდს უნდა გააჩნდეს პრეტენზიების გადაწყვეტის მექანიზმი. აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს დამატებით ხარჯს საპენსიო ფონდისათვის, რადგან საჭირო იქენება დამატებითი სტრუქტურული ერთეულის შექმნა ან არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში დამატებითი თანამშრომლების აყვანა. აღნიშნული ხარჯების ჯამური გავლენა დამოკიდებული იქნება პოტენციურ კანდიდატებთან კერძო მოლაპარაკებების შედეგებზე. „საპენსიო სააგენტოს“ ხარჯვით ნაწილზე გავლენას იქონიებს ასევე სახელის ცვლილება, კანონის შესაბამისად მისი სახელწოდება ხდება „საპენსიო ფონდი“, შესაბამისად საჭირო იქნება ადმინისტრაციული ხარჯის გაწევა, როგორიცაა ლოგოს, ბეჭდის და მსგავსი ატრიბუტების ცვლილება. აღნიშნული ხარჯების ჯამური გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება აღნიშნული სერვისების მიმწოდებლებთან კერძო მოლაპარაკებების შედეგებზე.
- კანონპროექტით დგინდება ეროვნული ბანკის გაზრდილი საზედამხედველო ჩარჩო, რომელიც გულისხმობს მთლიანი საპენსიო ფონდის ზედამხედველობას. ამასთან კანონპროექტი ადგენს ეროვნული ბანკის მიერ კანონით დადგენილი ნორმატიული აქტების გამოცემის ვალდებულებას. შესაბამისად, შესაძლოა ეროვნულ ბანკს დასჭირდეს დამატებითი ადამიანური რესურსების გამოყოფა, რამაც თავის მხრივ შესაძლოა გამოიწვიოს ეროვნული ბანკის გაზრდილი ხარჯები, რაც დამოკიდებული იქნება ეროვნული ბანკის არსებული რესურსის შეფასებასა და პოტენციურ ახალ თანამშრომლებთან კერძო მოლაპარაკებების შედეგებზე.

- კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გარკვეული წესების დადგენას და დადგენილებების გამოცემას, აღნიშნული განხორციელდება არსებული რესურსის ფარგლებში და არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.
- საინვესტიციო ლიმიტებთან (მანდატის გაფართოებასთან) დაკავშირებით კანონპროექტი ითვალისწინებს სხვა აქტივების ჭრილში ლიმიტების გაზრდას 15%-მდე, 20%-მდე, 25%-მდე, აღნიშნული უზრუნველყოფს საპენსიო აქტივების ინვესტიციების მეტად დივერსიფიკაციის შესაძლებლობას, რაც დადებითად აისახება მონაწილეთა საპენსიო აქტივებზე, რადგან დივერსიფიკაცია სწორედ საპენსიო აქტივებზე ამონაგების გაზრდას შეუწყობს ხელს. თუმცა, ასეთი გავლენის წინასწარ შეფასება და ფინანსური შედეგების განსაზღვრა არ არის შესაძლებელი.
- კანონპროექტი ითვალისწინებს 29-ე მუხლის ამოღებას საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა ძალიან მცირე ნაწილი თუ გამოიყენებს სხვა აქტივების მმართველის არჩევის უფლებამოსილებას, იმდენად რამდენადაც საპენსიო აქტივების მართვა გრძელვადიანი პროცესია და მისი ამონაგების საწყის ეტაპზე შეფასება რთულია. ამასთან, საპენსიო აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია მათი ერთი მმართველობითი ორგანოს ფარგლებში მართვა. მითუმეტეს, რომ კანონპრექტი ითვალისწინებს 28-ე მუხლის თანახმად საჭიროების შემთხვევაში აქტივების მმართველი კომპანიების მიერ დაგროვებითი საპენსიო აქტივების მართვას. თავის მხრივ აღნიშნული 29-ე მუხლის ამოღება აქტივების მმართველ კომპანიებს (დღეს საქართველოში რეგისტრირებულია/ლიცენზირებულია 8 აქტივების მმართველი კომპანია) შესაძლოა უკარგავდეს დამატებითი ფინანსური შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, თუმცა გასათვალისწინებელია ის, რომ დღეს მათ ეს შესაძლებლობა არ აქვთ (აღნიშნული მუხლი უნდა ამოქმედებულიყო 2025 წლის პირველი იანვრიდან) და შესაბამისად გავლენა შეეხება სამომავლო ჰიპოთეტურ საქმიანობას, რომელსაც რეალობაში ან განახორციელებდნენ აქტივების მმართველი კომპანიები ან არა, რადგან აღნიშნული დამოკიდებული იქნებოდა მონაწილეთა არჩევანზე, ამ კომპანიების საქმიანობის წარმატებასა და სხვა ფაქტორებზე. თუმცა როგორც აღინიშნა მათ უნარჩუნდებათ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა, აღნიშნული კი გულისხმობს აუთსორსს, რა შემთხვევაშიც მონაწილის არჩევანი არ წარმოადგენს ფაქტორს, შესაბამისად აქტივების მმართველ კომპანიებს ექნებათ შესაძლებლობა აუთსორსული მომსახურება გაუწიონ საპენსიო ფონდს. აუთსორსული მომსახურების შემოსავალი და შესაბამისად ფინანსური გავლენა დამოკიდებული იქნება კერძო მოლაპარაკებებსა და საპენსიო აქტივების აუთსორსის მასშტაბზე.
- კანონპროექტი ითვალისწინებს საპენსიო ფონდის მართვის საკომისიოს ცვლილებას და განსაზღვრავს, რომ საპენსიო ფონდის მართვის საკომისიოს ოდენობა დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ, ამასთან აღნიშნული საკომისიოს ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს საპენსიო აქტივების 0,75 პროცენტს. დღეს, საპენსიო აქტივების მართვის საკომისიო არის საპენსიო აქტივების 0.5%, აღნიშნულის გაზრდის შემთხვევაში მონაწლეების საპენსიო აქტივებიდან მოხდება მეტი საკომისიოს გადახდა. გავლენის ჯამური ოდენობა დამოკიდებული იქნება თუ რა კონკრეტულ ოდენობას დაადგენს საქართველოს მთავრობა, ასევე მეტწილად დამოკიდებული იქნება მოცემულ მომენტში საპენსიო ფონდის მართვის ქვეშ მყოფი აქტივების მოცულობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საინვესტიციო აქტივების წრე გაიზარდა, მათ შორის

ზემოაღნიშნული სხვა აქტივების ნაწილში, შესაბამისად მონაწილეთა ამონაგებიც გაიზრდება, ინვესტირების კუთხით კი აღნიშნული მოითხოვს გაზრდილ რესურსებს, რაც საჭიროებს შესაბამისი და ადეკვატური საკომისიოს დადგენას. შესაბამისად, უპრიანაია, საქართველოს მთავრობას ჰქონდეს ბერკეტი განსაზღვროს საკომისიოს ოდენობა აქტივების მოცულობის, ინვესტირებული აქტივების და სხვა მაჩვენებლებზე დაყრდნობით. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი აწესებს ზღვარს საპენსიო აქტივების 0.75 %-ის ოდენობით. მნიშვნელოვანია, რომ საკომისიოს ამგვარი მოცულობა თანხვედრაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან, მეტიც OECD-ის 2023 წლის სტატისტიკის მიხედვით, ბევრ ქვეყანაში საკომისიოს სხვადასხვა სახეობა და მეტი ოდენობა არის დადგენილი, მაგ: ჩეხეთში - საპენსიო აქტივების 0.8%, ესპანეთში - საპენსიო აქტივების 1.1%, თურქეთში - საპენსიო აქტივების 1.4%, სლოვაკეთში - 0.8%.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღებას არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო აზიის განვითარების ბანკის ექსპერტთა ჯგუფმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.